საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული 3 ...

ფასი 2 მანეთი

ოთხშაბათი, 1 ნოემბერი 1919 წ. № 176.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...ვენი ...ეყანა

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

**საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

**რედაქცია ღიაა:** დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**კ ა ნ ტ ო რ ა**

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით 50 მან: 3 თვით 130 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

## ტან სავარჯიშო საზოგადოება
## „შეპარდენის“

გამგეობა ამით აცხადებს, რომ საზოგადოებაში წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე სამრეწველო ბანკის შენობაში (ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის პირდაპირ) ბ. გ. სვანიძესთან დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდი.

წლიური გადასახადი წევრთათვის 120 მან. მოწაფეთათვის, რომელიც 18 წელს აღემატებიან 60 მან. მოზარდთა და ბავშთათვის 30 მან. შენიშვნა: მოზარდთა და ბავშების გარდა საზოგადოების წევრები წლიური გადასახადის გარდა იხდიან კიდევ ერთ დროულ შემოსასვლელ გადასახადს 10 მანეთს.

ვარჯიშობის დაწყების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

**ვარჯიშთავი დ. ჯავრიშვილი.**

3—2 საზოგადოების მოლარე **გ. სვანიძე.**

## განცხადება.

ქუთაისის სამხედრო ბინათა დინსტანცია ამით აცხადებს, რომ ამა წლის 16 ოქტომბერს დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა საკვამლე მილების

გაწმენდის იჯარის გაცემაზე სახაზინო შენობებში, რომელიც უკავია ქუთაისის, ფოთის, ოზურგეთის და სოხუმის გარნიზონებს.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ყველა პუნქტების შესახებ ქუთაისის სამხედრო ბინათა დინსტანციის კანცელარიაში და ადგილობრივად გარნიზონის უფროსის კანცელარიებში დღის 12 საათზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობაში მიმღებმა უნდა წარმოადგინოს 2% მოთხოვნილ ფასისა და პირადობის საბუთები.

კონდაციების ნახვა შეიძლება ყოველ არა უქმე დღე 8—დან 2 საათამდის.— 1—1

**სამოსწავლებლო სრულუფლებიანი**

## კურსები დეკ. მ. კელენჯერიძისა

გაიხსნა ქუთაისში მთავრობის ნებართვით. ამზადებს და წოდებას აძლევს I და II კლ. სახალხო მასწავლებლებს. 3—2

**დაკარგე** უვადო პასპორტი მიღებული მოსკოვის საგრადონაჩალნიკოდან 1917 წ. 10 მაისს, მოწმობები. ერობათა კავშირის წითელი ჯვრისა და სამხედრო კანტროლის პირველი კავკასიის კავალერიის კორპუსის. მნახველს ვსთხოვ შემოიტანოს გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში.

**სილოვან სიმონის ძე ჰეიშვილი.**

1—1

## დიდი საქმე იღუპება.

სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მიერ შექმნილი პირობებისა გამო საქართველოში ყოველივე საამშენებლო საქმე შეწყვეტილია.

გვაქვს თუჯის ქარხანა, მაგრამ არ მუშაობს. გვაქვს ნავთის ჩამოსაქაჩავი ქარხნები, მაგრამ არ მუშაობენ. გვაქვს საქსოვი ქარხნები, მაგრამ უქმათ არიან.

რკინის გზით საქონლის გადაზიდვა ვერ მოწესრიგდა: ნატანებიდან ქუთაისამდის მეტადა ღირს ვიდრე კონსტანტინეპოლიდან ნატანებამდის გადაზიდვა!

მტვირთველი მუშების კავშირები თვითონვე აწესებენ თავის ხელფასს.

რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირი თვითონვე აწესებს შტატს, ნიშნავს მოსამსახურეებს, აწარმოებს გასამართლებას, კისრულობს ადმინისტრატიული ფუნქციების ასრულებასა და სხ.

ერთი სიტყვით რკინის გზა წარმოადგენს სახელმწიფოს სახელმწიფოში!

ფოთში საქონელი ველარ შემოსულა, ერთი მხრით, რადგან მუშათა კავშირი მეტად ბევრს თხოულობს გადმოტვირთვაში და, მეორე, შემოტანილი საქონლის პატრონი 12 პროც. იხდის ზედმეტს. საქართველოში შემოტანილ საქონელზე დადებულმა ბაჟებმა ხომ ყოველსავე ზომას გადაამეტეს.

დაუმატეთ ამას კიდევ ის, რომ კაპიტალისტს არ შეუძლია, როცა საჭიროა, მუშათა რაოდენობა შეამციროს; თვითეულ მუშას სამი თვის ქირა უნდა მისცეს სალიკვიდაციოდ!

ამავე დროს მუშას გაფიცვის დროს ხელფასი არ ეკარგებ!ა

ადგილად გასაგებია მაშასადამე, რატომ უფრთხიან კაპიტალისტები რომელსამე წარმოებაში ფულის ჩაყრას.

ცხადია, რომ საქართველოში, ვიდრე პირობები არ გამოიცვლება, არა თუ არ შემოვა უცხო კაპიტალი, არამედ, პირიქით, საქართველოდან კაპიტალი თანდათან გადავა ადეირბეიჯანში, სომხეთში ანუ სპარსეთში.

საბედნიეროდ ერთად-ერთი საქონელი, რომელსაც შეუძლია გადალახოს ხსენებული დაბრკოლებანი, შავი ქვაა.

ბუნებამ მოგვანიჭა ეს დოვლათი, თვინიერ რომლისა ფოლადისა და რკინის წარმოება-შეუძლებელია.

ევროპისა და ამერიკის წარმოება დამოკიდებულია შავ ქვაზე. საუკეთესო ხარისხის შავი ქვა და მისი უმეტესი რაოდენობა კი-საქართველოშია.

მაშასადამე შავ ქვას შეუძლია მოიზიდოს ევროპიდანა და ამერიკიდან ოქროცა და ყოველგვარი სხვა საქონელიც.

ოღონდ კი შავი-ქვის გაზიდვა მოვაწყოთ!

უკვე გადადგმულ იქნა ნაბიჯი ამ საქმის მოწესრიგებისაკენ. შედგა შავი ქვის სააქციო ამხანაგობა, რომელმაც ინგლისის მდიდარი სავაჭრო სინდიკატისაგან ორასი ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღო ავანსად.

ამ საქმეს რომ არაფერი აბრკოლებდეს, შავი ქვა ჩვენს ვალიუტას დაედებოდა საფუძვლად.

რადგან შავი-ქვა პრივილეგიური საქონელია, მთავრობას აქვს უფლება შავი ქვის ამხანაგობას წმინდა მოგების ნაწილი გამოართვას და ქართული ქალალდის ფულის უზრუნველმყოფელ ფონდად შეინახოს.

მაგრამ მთავრობამ ზომიერება უნდა დაიცვას და სააქციო ამხანაგობას იმდენი არ უნდა მოსთხოვოს, რომ წარმოებაზე ხელი ააღებინოს.

სამწუხაროდ მთავრობა ამხანაგობას წმინდა მოგების ისე დიდ ნაწილსა სთხოვს, რომ ამხანაგობას სამი ოთხი პროცენტიც კი აღარ დარჩება.

მაშასადამე თითქმის ტყვილა უნდა გააცდინოს თავისი კაპიტალი!

ამხანაგობა, რასაკვირველია, თავისი ხელით თავს არ დაიკლავს და წასაგებ საქმეში ფულს არ ჩაჭყრის.

და, როგორც ამბობენ სააქციო ამხანაგობა ამ დღეებში თავის საქმეებს ლიკვიდაციას უპირობს.

ამით დააგვირგვინებს თავის ნაყოფიერ (!) მოღვაწეობას ფინანსთა სამინისტრო!

**ნესტარი.**

## ორი საფრთხე.

ჩვენს თავისუფალ და დამოუკიდებელ რესპუბლიკას დღეს ორი რამ აწუხებს: **გარეშე მტერთან უთანხმოება და შინაური მოუწყობლობა.** ეს ორი საგანი ორივე არსებითია და ორივეს თუ ანგარიში არ გაუწიეთ და რიგზე არ მოვაწყვეთ ისე ჩვენი განცდილი ტანჯვა-ვაება და თავისუფლების მოსაპოვებლათ დახარჯული შრომა უნაყოფოთ ჩაივლის და ბოლოს ისევ მძიმე მდგომარეობაში ჩავვარდებით.

გარეშე მტრებისაგან მოსალოდნელი მარცხი არა ერთხელ და ორჯერ აგვშორდა, ამ შემთხვევაში ჩვენ გვიცავს გარემოებათა ვითარება. საქმე ისე ეწყობა, რომ მტერს ხელი ეშლება და მისი მისწრაფება ჩვენდა გა-

# დღიური

**საქართველოში ინგლისელთა ჯარი იგზავნება.**

**ყუბანის რადამ დენიკინის დიქტატურის აღიარებაზე უარი განაცხადა.**

**დენიკინელთა და ყუბანის ყაზახთა შორის უთანხმოება ძლერდება.**

**პუანკარე ინგლისში გაემგზავრა.**

**თურქესტანში ბოლშევიკები წინ მიიწევენ.**

სანადგურებლათ და მოსასპობლათ მიმართული უნაყოფოთ მიდის.

ვინც ჩვენი გაუბედურება მოინდომა ის თვითონ გაუბედურდა. უწინდელს რომ თავი დავანებოთ წარმოვიდგინოთ ახლანდელი ამბები. წამოგვვსიენ **თათრები** და გარემოებამ უცებ სიმწარეში ჩააგდო, მოკავშირე მტრათ გადაექცათ და მოწინააღმდეგეს ხელში ჩაუვარდენ. შემოგვიტია **რუსეთმა** და განგებამ შიგნი ისეთი ცეცხლი დაუნთო, რომ ლამის შიდ ამოიწვას და სხვისი კი არა თავისიც ოხრათ დარჩეს. გვიდალატეს **სომხებმა** და თავს მეტი აზარალეს, ვინემ ჩვენ. ასეა თუ ისე ჯერ ჯერობით გარემოება გვიფარავს და მოსალოდნელია კიდევ დაგვიფაროს, რადგან ჩვენ მტერს შინაური უბედურება თანა სდევს. ამ მოვლენის ახსნას არ შეუდგებით, მაგრამ ფაქტი კი ასეთია. რა თქმა უნდა გონიერი პოლიტიკა შემთხვევას ვერ დაემყარება, მაგრამ დროებით ასეთი ხელის შემწყობი მიმდინარეობა საგრძნობლათ წაგვწევს წინ.

მეორე მხარე საიდანაც ხიფათი მოგველის არის **შინაური მოუწყობლობა**. სამწუხაროთ სახელმწიფოებრივი მანქანა წესიერათ ვერ ავამუშავეთ. შხედრობა დაშლილია, სამართალი სუსტია, ადმინისტრაცია მოუწყობელია, მეურნეობა დაცემულია. ყოველივე ამას ემატება აუტანელი სიძვირე. ეს ისეთი მოვლენაა დღეს მთელ ქვეყანაზე და განსაკუთრებით ჩვენში, რომ მისი გაგებაც კი უჭირს ცხოვრების მეთაურებს. სიძვირე დღითი დღე იზრდება, მთავრობაც და ხალხიც მივჩერებივართ და ვუყურებთ თითქო ეს უბედურება ჩვენს გარეშე იყოს და ჩვენ ამაში წილი არ გვედვას. ამ სიძვირის მიზეზების გამოკვლევა და მისი მოსასპობი ზომების მიღება მთავრობის მოვალეობაც იყო და ხალხის მოთხოვნილებაც, მაგრამ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დღემდი ჩვენში ამ საგანზე არც საფუძვლიანი რამ დაწერილა და არც მთავრობაში გადაწყვეტილა. ყოველივე რაც ამ ნიადაგზე კეთდება, კეთდება სხვათა შორის, მეორე ხარისხოვანად, სინამდვილის გაუთვალისწინებლათ.

მთავრობამ და თანაც ხალხმა ჯერ ვერ გაიგო საიდუმლოება ამ სიძვირის თანდათანობითი ზრდისა და ფულის ღირსების დაცემისა.

საკმაოა ავიღოთ ერთი გზა, რომელსაც ადგია მთავრობა და თანაც ხალხი, რომ დავრწმუნდეთ რა გაუგებრობაა ამ საქმეში. სიძვირეს მთავრობა ებრძვის მოხელეთა ჯამაგირების მომატებით და მომუშავეთა სასყიდლის გადიდებით. ეს გზა აიძულებს მთავრობას ფულის რაოდენობა გაადიდოს, ეს კი აიძულებს ყოველ მწარმოებელს და რაიმე ნივთიერების გამყიდველს რამ ყველაფერზე ფასი ასწიოს. ყველაფერზე ფასის აწევა ხელმეორედ აიძულებს მოხელეთა და მომუშავეთ სასყიდელის მომატება მოითხოვონ, ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება იწვევს კიდევ ფასების შეცვლას და ასე; ერთი წლის განმავლობაში ათჯერ იცვლება სასყიდელის რაოდენობა, იმდენჯერმე იცვლება ნაწარმოების გადაფასებაც, **რამდენათაც ფულის რაოდენობა მატულობს, იმდენათ მისი ღირებულება კლებულობს**. მეორე მხრით **რამდენათაც ფულის ღიროვნება კლებულობს, იმდენათ ნაწარმოების ფასი მატულობს**. ყოველგვარი მომატება საქმეს აბრკოლებს და არ აკეთებს.

ასეთ ფინანსიურ სისტემას არ შეუძლია არც ხაზინის გაძლიერება და არც მცხოვრებთა მდგომარეობის გაუმჯობესება.

ეგევე თვალსაჩინოთ მტკიცდება გადასახადის საკითხში.

მთავრობა ხაზინის გასაძლიერებლათ ადიდებს გადასახადს. მართალია ერთი მხრით გადიდებული გადასახადი ხაზინას მეტ თანხას მისცემს, მაგრამ გადასახადი ცხოვრებას გააძვირებს, რადგან გადამხდელი ამას ისევ მუშტრისაგან აიღებს და ამ მუშტართა უმეტესობა კი ისევ ხაზინას მოსთხოვს ამ ზედმეტ საშვალებას.

როგორც სამუშაო ფასის მომატება და მოხელეთა ჯამაგირების გადიდებაში ისე გადასახადების გაორკეცება გაათკეცებაში ფინანსიური პრინციპი არ მუშაობს და მთავრობა უფრო და უფრო იჭივრებს საქმეს და რაღაც უცნაურს იმზადებს. **მომატებაში** არ არის **დაკმაყოფილება**. დროა ამას მიხვდეს მთავრობაც და თვით მუშაც.

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

## პრესა.

მართველი პარტიის ორიენტაცია დღემდის გამოურკვეველი იყო. ვერ ადგენ ერთ გარკვეულ გზას. არ ჰქონდათ გათვალისწინებული საერთაშორისო მდგომარეობა. ვერ შეეგნოთ თვით საქართველოს მდგომარეობა და მისი ბედი, მომავალი.

თვით მართველ წრეებშიდაც არ არსებობდა ერთი აზრი, ერთი მიმართულება. ზოგს ისევ წითელი რუსეთისაკენ ეჭირათ თვალი. დარწმუნებული იყვნენ, რომ აღსდგებოდა სოციალისტური მთლიანი რუსეთი, რომელსაც საქართველოს ბედიც მას დაუკავშირდებოდა. მათ მოწინააღმდეგენიც ჰყავდათ და ამ რიგად მართველ წრეებშიდაც არსებობდა პო-

[illegible]ენტაციის არევ და-
[illegible]ტიის ორგანო „ერ-
[illegible]კვეველ მდგომარეო-
[illegible]ამ უკანასკნელ ნო-
[illegible]პოურკვევლობა უკვე
[illegible]ლესია
[illegible]
[illegible]
[illegible]

წამეთობას (დიდი მოწამეების დავით და კონსტანტინეს დღეს) დღესასწაულობს. დღეს მოწამეთის მონასტერში მწირველი იქნება ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი.

ქუთაისიდან გელათის სადგურამდის მლოცველებისათვის დანიშნულია შემდეგი სამგზავრო მატარებლები: 1) დილით $5^1/_2$ საათზე ეს მატარებელი ხრესილამდის გავა. 2) დილის 7 ს. და 50 წ. გელათამდის. 3) $8^2/_1$ საათზე. 4) 10 ს. და 40 წ. 5) $12^1/_2$ ს. 6) $2^1/_2$ ს. 7) $5^1/_2$ ს. უკანასკნელი მატარებელი ქუთაისში საღამოს 9 ს. დაბრუნდება.

**სახლის ჩამორთმევა.** ხონის ქალ. თვითმართველობამ ვექილ ლუკა ბახტაძეს მაშინ, როდესაც უკანასკნელი ადმინისტრატიული წესით ციხეში ისხდა ხონელების საჯარო თხოვნის მთავრობასთან წარდგენის განზრახვისათვის,—რეკვიზიციის წესით მილიონად ღირებული ერთადერთი საცხოვრებელი სახლი თექვსმეტი ათას მანეთად ჩამოართვა. პატივცემული ვექილი უბინობის გამო იძულებულია ხონიდან გადასახლდეს.

**ავაზაკების მსხვერპლი.** ამ ერთი თვის წინეთ მედროგე ბიჭია ჭელიძე თავისი ცოლით რაჭაში მიდიოდა. ნამხვანს იქით გამოურკვეველ მიზეზის გამო მეეტლემ „ლინეიკა“ გზაში გააჩერა. ამ დროს ავაზაკებმა სროლა ასტეხეს. მოკლეს ბიჭია და მძიმეთ დასჭრეს მისი ცოლი. ხალხი და მილიცია დროზე გაჩნდა, რის გამოც ავაზაკებმა ფულის წაღება ვერ მოასწრეს.

**სამეურნეო იარაღები.** ლანირქვიტირის თემი სთხოვს ქუთაისის სა-

**არხის გაკეთება.** შაბათს, 11 ოქტომბერს ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრმა ალ. ჯაფარიძემ, ქუთაისის ინჟინერმა აბაშიძემ და სანიტარულმა ექიმმა ლორთქიფანიძემ ინახულეს რიონის სადგურზე საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზების უფროსი ბ. კანდელაკი და მასთან მოლაპარაკება ჰქონდათ სიბინძურის სადენი არხის გაყვანის შესახებ, საფირჩხიის რაიონიდან ბალავანის ქუჩით მოლაპარაკებამ სასურველი შედეგი მოიტანა.

მაზრო ერობას შეიძინოს მათთვის სამეურნეო იარაღები.

**ინჟენერი კარპოვი** ქუთაისის ხონის რკინის გზის საქმეებისთვის გუშინ გაემგზავრა თფილისში.

**დანიშვნა.** ბაღდადის რაიონში დროებით აგრონომის თანამდებობაზე დანიშნა გ. ჯანდიერი.

**მეფუტკრეობა.** წელს ქუთაისის მაზრაში ფუტკრის მუშაობა სუსტი იყო უამიდობის გამო, გამონაკლისს შეადგენს ზეკარის რაიონი, სადაც თითო ბუკში საზამთროთ დაუტოვებიათ ფუთი თაფლი და ფუთი გასაყიდათ ამოუღიათ.

**ქალაქის გამგეობის დადგენილება.** ქუთ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ იმ მილიციონერებს, რომელიც შტატის შემცირების გამო დათხოვნილი იყვნენ, მიეცეს ალიკვიდაციო ფული.

**თავდასხმა.** სამტრედიაში 7 ოქტომბერს საღამოს 9 საათზე ეგნატე კოპალეიშვილს თავს დაესხენ ბოროტ-გამზრახველნი—წაიღეს ნიკოლოზის საკრედიტო ბილეთები 3500 მან. დასაჭერათ მიღებულია ზომები.

**გაცარცვა.** სოფ. გვაშტიბში 8 ოქტომბერს ნიკოლოზ ცანავამ გაძარცვა ნიკოლოზ იოსელიანი, რომელსაც წაართვა რევოლვერი და საათი.

**თეატრი.** ხვალ 16 ოქტომბერს ქალაქის თეატრში ქართული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება „ჰამლეტი“.

# ნაკვთეგი.

VIII

**ღვთის მორწმუნენი.**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დემოკრატიულმა მთავრობამ სარწმუნოების დემოკრატიზაცია შემოიღო.

შეამცირეს:

დღესასწაულეები

და უქმე დღეები.

დღესასწაულები და უქმე დღეები ბურჟუაზიის განცხრომის დღეები არის.

ასე მჯელობს დემოკრატიული მთავრობა.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიას კი უქმე დღეები კონტრ-რევოლიუციონერთა ზეიმის დღეთ მიაჩნია.

იმასაც ასაბუთებდენ, რომ მუშათა კლასს უსაქმო დღეები ისე ეჯავრებათ, როგორც ბურჟუას მუშა და მუშას კიდევ ბურჟუა.

მუშას მუშაობა სწყურია!..

ეზიზღება ტყვილა ყოფნა, რადგანაც იგი შრომის შვილია.—

ამტკიცებდა ვინმე გურული—დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი.

უცხოელები ამტკიცებდენ, რომ ქართველი ხალხი,—უსაქმო ხალხთა შტოს ეკუთვნისო.

შემცდარი აზრია.

საქართველოში ერთი კლასი მაინც მოიპოვება, რომელიც საქმით არის დაინტერესებული და მუშაობს:

როგორც საქმი დღეს ისე უქმითაც, როგორც დღით ისე ღამით!

ეს მთავრობამაც გაითვალისწინა.

და დღეს, რომ დღესასწაულია, მოწამეთობა, უქმე დღეთა რიცხვიდან ამოშალა.

მუშები აიძულეს,—ამ დღეს ემუშავათ.

მაგრამ როგორც სინამდვილიდან გამოირკვა მუშებს ჯერ კიდევ არ დაუვიწყნიათ ღმერთი—სარწმუნოება.

გუშინ ქუთაისში ბეჭვდითი საქმის მუშათა კრება იყო.

ყველა დაესწრო.

და გამოიტანეს რეზოლიუცია:

„გამოეცხადოს მთავრობას პროტესტი რომ მოწამეთობა უქმი დღეებიდან ამოშალა. ამ დღეს ყველამ ვიუქმოთ და მთავრობას მოვთხოვოთ, რომ რვა საათის ნაცვლად შემოღებულ იქნეს ექვსი საათის სამუშაო დღე“.

ეს რეზოლიუცია პირდაპირი მავთულით ეცნობა მთავრობას.

რა გზას დაადგა ამის შესახებ თვით მთავრობა ჯერ ცნობა არ მიგვიღია.

მაგრამ დანამდვილებით ამბობენ, რომ ამის შესახებ დახურულ კარებში, სოციალ დემოკრატიულ ფრაქციას, დახურული სხდომა ჰქონიათ.

ცხარე კამათიხ შემდეგ ხმის დიდი უმრავლესობით მიუღიათ ასეთი დადგენილება:

„ეცნობოს შრომის მინისტრის ამხანაგს, რამეს და სამინისტროს მდივანს გოლდმანს, რომ ბეჭვდითი საქმის ქუთაისის მუშები განდევნილნი იქნენ მუშათა კლასიდან, გადაირიცხონ ბურჟუაზიულ ბანაკში და მათი მოთხოვნილება არასოდეს დაკმაყოფილებული არ იქნეს“.

ასე დასაჯეს ღვთის მორწმუნენი!

ამის შესახებ ჩვენში ორი მიმართულება გაჩნდა.

ერთი მუშებს ამართლებს. მეორე კი მთავრობას.

არ ვიცი რომელია მართალი. მაგრამ...

ოი მაღალო!

შენ დაიხსენ საქართველო როგორც პიოველის, ისე მეორისაგან.

**კაინი.**

## საქართველოს და აზერბეიჯანის დელეგაციის ნოტა საზავო კონფერენციას.

პარიზი, 24 ივლისი 1919 წ.

პარიზის საზავო კონფერენციის თავმჯდომარე ბ კლემანსოს.

ბატონი თავმჯდომარე!

როდესაც საქართველოს და ადერბეიჯანის რესპუბლიკები დასდგენ ეგრეთ წოდებულ მოხალისეთა ჯარის შემოსევის საფრთხის წინაშე, მათ საჭიროთ ჩაითვალეს ეს-ორნი დაედოთ ერთმანეთთან ხელშეკრულება (თავდაცვის) ამ ხელშეკრულების ნაწილეობის მიღების შესახებ წინადადებით მიმართეს სომხეთსაც.

გაახლებთ რა ამასთანავე ხელშეკრულების პირს, ჩვენ გთხოვთ აღნიშნოთ სოლიდარობაა მიერ-კავკასიის ერთა შორის, რომლის ცხადი დამამტკიცებელია 16 ივნისის ხელშეკრულება.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ხელშეკრულება, რომელსაც საფუძველად უდევს მხოლოდ თავდაცვა, არ იქნება განხილული როგორც სამხედრო გამოსვლის აქტი.

ამიერ-კავკასიას, რომელსაც მფარველობენ მოკავშირენი, აშორდება თავდასხმა, მოკავშირეთა სახელმწიფოების დენიკინის მოქმედებისადმი თვალყურის დევნების წყალობით.

მეორე მხრივ საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს განსაკუთრებით ხელშეკრულობის § 4-რომელთაც ხელშეკრულობის დამდე მხარეები სწყვეტენ ტერიტორიალურ საკითხს საერთო შეთანხმებით ან და არბიტრაჟის საშუალებით.

ამ გვარათ შეიქმნა სოლიდარობის ბაზა ორ მეზობელ ერის, საქართველოსა და აზერბეიჯანის შორის ტერიტორიის განსაზღვრით.

გთხოვთ ზემონათქვამი გადასცეთ მოკავშირეთა სახელმწიფოს უმაღლეს საბჭოს.

დასასრულ ვსარგებლობთ შემთხვევით დაგიმოწმოთ თქვენ, ბ. თავმჯდომარე, ჩვენი პატივისცემა.

საქართველოს დელეგაციის
თავმჯდომარე **ჩხეიძე.**

აზერბეიჯანის დელეგაციის
თავმჯდომარე **ტობჩიბაშევი.**

# დეპეშეგი.

(საქ. დეპ. სააგენტო)

13 ოქტომბერი.

**გერმანული პრესის ცნობები.**

ბალტიის პროვინციებიდან გენ. ფონდერ ჰოლცი იუწყება, რომ ჯარის ერთი პოზიციიდან მეორე პოზიციაზე გადაჯუფებას ბევრი დრო სჭირდება. დარჩენილ ჯარისკაცებისათვის სურსათის მიცემა შესწყვიტეს. პარიზიდან მოსული ცნობების გამო, რომ ფოში ჯარის დამოურჩილებლობის თავის გამართლებას საკმარისად არ სცნობს „ფორვერტსი“ სწერს: „გამარჯვებული მოკავშირეების ქვეყნები ფიქრობენ, ყველაფერს მუქარით მიაღწიონ. ძლიერ სასურველია, რომ ეხლახან დაწყებული გენერალ ჰოლცის ჯარის გადაჯგუფება, რაც შეიძლება მოკლე ხანში მოხდეს, მოკავშირეების მხრით ყოველგვარ დაუხმარებლად.

# მთიელთა აჯანყება.

**დაღესტანში.**

ბრძოლა დერბენტის რაიონში გრძელდება. დენიკინელებთან ბრძოლამ სახალხო ხასიათი მიიღო და მასში მონაწილეობას იღებს მთის მთელი მამაკაცობა. მთიელები სრულიად შეკავშირებული არიან და სამხედრო მოწყობილობაც აქვთ. მხოლოდ თბილი ტანისამოსის ნაკლებობას განიცდიან, რადგანაც მთაში ზოგ-ზოგ ალაგას უკვე თოვლი მოვიდა. საექიმო დახმარებაც სუსტია.

### მიმოსვლა პროხლადნაია პეტროვსკის შუა.

კარგა ხანია, რაც პროხლადნაიასა და პეტროვსკის შუა მიმოსვლა შესწყდა. რკინის გზებზე მხოლოთ ჯავშნიანი მატარებლები დადიან.

### პეტროვსკში.

პეტოვსკიდან ჩამოსულ პირთა გადმოცემით, იქ გარნიზონი მეტათ აღელვებულია დაღესტნელების მოქმედებით. მოხალისეთა აფიცრები გაიძახიან, რომ ისინი არ მოითმენენ დაღესტნელების და ჩეჩნების „საშინელ და ბოროტ ბუნტს“. „ჩვენ ვაჩვენებთ როგორ უხდის თავის მტრებს მოხალისეთა ჯარი იმ მტრებს, ვინც ზურგში გვესხმისო“. გაიძახიან, რომ 25 ჰაეროპლანი მოგვივა და ვედენოს ყუმბარებით გავსებთო. („ვ. გ“).

**მთიელები და მოხალისეთა ჯარი.** მოხალისეებს განზრახვა აქვთ შესცვალონ თავიანთი პოლიტიკა მთიელების მიმართ. ის იმედები, რომ მთიელები მათ დახმარებას გაუწევენ ბალშევიკების წინააღმდეგ, არ გაუმართლდათ. იმის მაგივრათ, რომ მთიელები შეებრძოლონ ბალშევიკებს, ისინი ან გარბიან, ან და წითელ არმიელების მხარეზე გადადიანო. მოხალისეებს სურთ გაიყვანონ თავიანთი ჯარები მთიელთა ტერიტორიიდან, უზრუნველყონ თავიანთი ჯარები ნავთით და მთიელთა კითხვის გადაწყვეტას დაუბრუნდენ მაშინ, როცა დამარცხდება რუსეთის ბალშევიზმი.

---

## უცხოეთი

(„საქ“. საკუთ. წყაროებიდან).

### თავ-დასხმა კრონშტადზე.

ინგლისის ავიატორები განაგრძობენ თვის თავ-დაფრენას კრონშტადზე უკანასკნელ ხანში ავიატორებს 4 ათას ფუთამდე ასაფეთქებელი ნივთიერებანი ჩამოუყრიათ კრონშტადში.

### ნორვეგია ერთა ლიგაში.

ნორვეგიას ერთხმად გადაწყვეტია შესვლა ერთა-ლიგის შეადგენლობაში.

### პოლონელ მთავარ სარდლის აზრი ბოლშევიკებზე.

პოლონეთის ლაშქრის მთავარ-სარდალს გენერალ პოლიუკის ბოლშევიკთა შეიარაღებულ ძალთა შესახებ შემდეგი აზრი გამოუთქვამს „ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული ყოველ თითოეულ შეხლაში დავამარცხებთ ბოლშევიკებს, ვინაიდან მათი სარდლობა მოიკოჭლებს დასტრატეგიასთან ძალიან მწყარალათ გახლავან, თუმცა ზოკიერთ ალაგს ისინი ძალით მეტნი არიან, მაგრამ ჩვენ გამობრძმედილ სამხედრო გაპოწაფულ დახელოვნებით სულ მუდამ დავამარცხებთ. ერთად-ერთი შანსი მათ ისა აქვთ, რომ ლამობენ ჩვენი ჯარი მოგვიწამლონ თვის მოძღვრებით, მაგრამ ჩვენი ჯარი ჩვენი ერთგული და საბჭოს პრთპაგანდას არ აჰყვება. ჩემი სამშობლო ლირს ია იმისი, რომ სოციალ რეფორმების გზით წარმატებისგან წავიდეს წინ. საჭიროა მხოლოდ დიდი შრომა ამ მიზნის მისაღწევათ. გერმანიასთან დამოკიდებულების შესახებ მთავარ სარდალი იმ აზრისაა რომ როგორც გერმანიას ისე პოლონეთს შეუდგენია დიადი პლანი აღდგენისა. თუ რომ გერმანია შეასრულებს კეთილ სინდისიერათ ზავის პირობებს მე ვერ ვხედავ მიზეზებს, ბრძანებს გენ. პილიუკი რატომ არ უნდა ვიცხოვროთ მათთან კეთილ-განწყობილ მეზობლურ ცხოვრებით. რაც შეეხება ეკონომიურ მდგომარეობას გენ. პილიუკიმ ბრძანა: ჩვენ გვესაჭიროება ტრანსპორტის მოწყობა. უამისოდ ჩვენი ეკონომიური განვითარება წინ ვერ წაიწევსო.

---

## ხმები მოსკოვში მომხდარ ცვლილებაზე.

გაზ. „ნაშ კრაი“ ღვინობისთვის 11-ს იუწყება:

„ბათომში მოსული სარწმუნო ცნობებით მოსკოვში მომხდარა დიდი ამბოხება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

ტროცკი და ლენინი ციხეში ჩაუსვამთ.

საბჭოთა მთავრობა მოსპობილია.

ეს ცნობა დამოწმებამდე სარწმუნოდ არ ჩაითვლება.“

---

## დენიკინის რადიოტელეგრამა მოსკოვის ევაკუაციისთვის.

ბათუმის რადიოსადგურმა ხელთ იგდო რადიო დეპეშა ლენინისა მიმართული რუსეთისა და ევროპის პროლეტარიატისადმი, რომელშიც ნათქვამია რომ მოსკოვის ევაკუაცია აუცილებელია. ეს სხვანაირად არ უნდა იყოს მიღებული, კომმუნისტები თავის ცენტრს გადიტანენ მხოლოდ ციმბირში (უფაში), ან თურანში და იქიდან თეთრებს დაემუქრებიან. ცხოვრების მსვლელობა ევროპას მიჰყავს ახალ რევოლიუციისაკენ და ამისთვის გამარჯვება ცალკე მემარჯვენე ჯგუფებისა, რუსეთში თუ ევროპაში, მხოლოდ დროული დასვენებაა თეთრებისა, რომელნიც აღგვილ იქნებიან დედამიწიდან მომავალ სოციალურ გარდაქმნის დროს.

---

## ნერილი ოკრიბიდან.

ბევრი დაწერილია ოკრიბის შესახებ, ბევრიც დაიწერება, მაგრამ კალმით იმის გადმოცემა რაც უსამართლობა ტყიბულის რკინის გზის ლიანდაგზე ხდება შეუძლებელი ხდება.

ცემა-ტყეპა, შეურაცყოფა და ათასგვარი უსიამოვნება, აი ყოველივე ის რაც ამ ლიანდაგზე მიმსვლელ-მომსვლელთა თანამგზავრია.

როგორც საზოგადოებას და კიდევ [illegible]ათ რკინის გზის უწყებას მო[illegible]ენებულ გზაზე მატარებე[illegible]ა. წვ[illegible]ნები ივსება ოკრიბელი[illegible]ს რე-[illegible]ით, რომელნიც ქუთაისში [illegible]ა სხვა სანოვაგით მოემგზავ[illegible]ან. ეს გლეხები არიან ქუთაისიდან უკანვე, რომ ბრუნდებიან და რკინის გზას შემოსავალს აძლევენ.

მაგრამ მიუხედავათ ამისა რკინის გზის მოხელეების (კონდუქტორების) მიერ დიდი უწესობა ხდება. კალათებიან გლეხების მატარებელში შესვლის ნებას არ აძლევენ და უკიდურეს შემთხვევაში გლეხებს ხელით შეურაცყოფისაც აყენებენ.

ამ გარემოებას ერთხელ და უკანასკნელად უნდა მიაქციოს ყარადღება ვისაც ჯერ არს და კონდუქტორების თავხედობას ბოლო მოუღოს. რაც შეიძლება ბარგიანი გლეხების ვაგონებში შესვლას,—ეს თუ მაუხერხებელია, რკინის გზის მართველობამ მატარებელს უნდა მოუბას განსაკუთრებული ვაგონები, სადაც ქუთაისში და უკანვე მიმავალი გლეხები თავისი ბარგით მოთავსდებიან.

* * *

ხსენებული რკინის გზა მეტად შეუსაბამოთ არის მოწყობილი ამ ჟამად. როგორც ვიცით ამ რკინის გზაზე არსებობს 4 სადგური: გელათის, ხრესილის, საწირის და ტყიბულის. არცერთ ხსენებულ სადგურზე იმდენი ხალხი არ სხდება მატარებელში, როგორც ეს არის ორპირის (ზედა კურსების) ბაქანზე. ამ ბაქანზე თავს იყრის თითქმის მთელი ოკრიბის მგზავრები და ცუდ ამინდებში ცის ქვეშ უხდებათ მატარებლის ცდა. მეორე მხრით ორპირი ცენტრი ადგილია მთელი რაიონისა და მიტომ არის რომ სოფლების უმეტეს ნაწილს აქ უხდება თავის მოყრა: უნდა აღინიშნოს, რომ ტყიბულის ლიანდაგს მგზავრებიდან უმთავრესი შემოსავალი ორპირის ბაქანიდან აქვს. და აქ რომ სადგური დაარსდეს ტყიბულის რკინის გზის შემოსავალი ერთი ორად გაიზრდება. ამ გარემოებას დროზე უნდა მიექცეს ყურადღება, ხსენებულ ადგილას უნდა აიგოს სადგური.

* * *

ოკრიბის მხარეს გამოფხიზლება სწრაფი ნაბიჯით ეტყობა.

ხალხმა შეიგნო სწავლა-განათლების მნიშვნელობა და ზრუნავენ, რომ თავიანთ შვილებს ცოდნა მისცენ.

სოფლებში არსდება სკოლები და მოსწავლე ახალგაზრდებით ივსება პირველდაწყებითი სკოლები.

სულ პატარა სოფლებიც კი, სადაც მხოლოდ 30—40 კომლი გლეხი სცხოვრობს, შუამდგომლობენ, რომ სკოლები გაუხსნან.

სოფლების ასეთი მოთხოვნილება ნათლად ამტკიცებს, რომ ხალხში უკვე შეგნებაა, რასაც ანგარიში უნდა გაუწიოს სამაზრო ერობამ და ხალხის მოთხოვნილება დაკმაყოფილოს.

*X.*

---

## კორესპონდენცია.

**თერჯოლის საზოგადოება.** — [illegible]ხედავთ იმისა, [illegible] [illegible] [illegible]